ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**გ-41. 41232413**

თარიღი:**29/08/2023**

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ მეორე კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის:ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge